

ვამტკიცებ:

შეთანხმებულია:

ძიუდოს სპორტული კლუბი
გლადიატორი (ს/კ 406126721)
დირექტორი:

საქართველოს ძიუდოს ეროვნული
ფედერაცია
გენერალური მდივანი

ა. ღვინიაშვილი

გ. აბუბაგაშვილი



დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი 17-18 ნოემბერი

საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში 2002-2003 და 2004-2005 წლებში დაბადებულ ძიუდოისტებს შორის

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;

II. შეჯიბრის ხელმძღვანელობა

- შეჯიბრის ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციაში დარეგისტრირებული ძიუდოს კლუბი – “გლადიატორი”.

III. შეჯიბრის ჩატარების პირობები, ადგილი და დრო

- შეჯიბრება ჩატარდება 2018 წლის 17-18 ნოემბერს ქალაქ თბილისში, დიღომში ძიუდოს აკადემიაში.

აწონვები ჩატარდება 16 ნოემბერს 18:00-დან 19:00-მდე და 17 ნოემბერს 18:00-დან 19:00-მდე.
შეჯიბრების დასაწყისი 10.00 საათზე. ჩამოსვლის დღე 16 ნოემბერი, წასვლა – 19 ნოემბერი.

IV. შეჯიბრის ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შესვენებების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის შემდეგ წონით კატეგორიაში:
17 ნოემბერი : 2002-2003 წ.დ. - 46კგ; 50კგ; 55კგ; 60კგ, 66კგ; 73კგ; 81კგ; 90კგ; +90კგ;

18 ნოემბერი : 2004-2005 წ.დ. - 30კგ; 34კგ; 38კგ; 42კგ; 46კგ; 50კგ; 55კგ; 60კგ; 66კგ; +66კგ;

შეჯიბრზე მონაწილეები დაიშვებიან მხოლოდ პირადობის მოწმობის (ორიგინალი) წარმოდგენის შემდეგ.

V. გამარჯვებულთა დაჯილდოვება

- თითოეულ წონით კატეგორიაში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით.

VI. შეჯიბრის ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებს მომავლინებელი ორგანიზაციები. თითოეულ სპორტსმენზე სასტარტო შესატანი – 10 ლარი.

საორგანიზაციო კომიტეტი:
მობ. +995 595 511 311 ლექსო ღვინიაშვილი